



სახელმწიფო აუდიტის წინილი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ხელმძღვანელობას

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის 2019 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

19 ოქტომბერი, 2020

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს
ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს

ბატონო გრიგოლ,

მოგესენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

გენერალური აუდიტორი

ერეკლე მექვაბიშვილი

ტერმინები და შემოკლებები	1
1. რეკომენდაციები	2
2. შიდა კონტროლის სისტემა.....	5
3. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები)	8
საკონტაქტო ინფორმაცია	10

ტერმინები და შემოკლებები

სამსახური/სუს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

სააგენტო – სსიპ – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.

ეკონომიკური დეპარტამენტი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი.

შსს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ნაერთი ანგარიშგება – სუს-ის ეკონომიკური დეპარტამენტის (უშუალოდ სამსახურის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება) და სააგენტოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;

სააღრიცხვო ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“.

1. რეკომენდაციები

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით

ფაქტობრივი გარემოება	სამსახურის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 850,121 ლარის ხანდაზმული, არარეალური მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით, რომლებიც წარმოშობილია სამსახურის შექმნამდე ¹ და გადმოცემულია შსს-დან პირველადი დოკუმენტების გარეშე.
მიზეზი	სამსახურს არ გააჩნია აღნიშნული დანაკლისების პირველადი დოკუმენტები. ზოგიერთ შემთხვევაში დაუდგენელია დანაკლისების გამომწვევი გარემოებები და პასუხისმგებელი პირები, ხოლო დანაკლისის მნიშვნელოვანი ნაწილი 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად განადგურებული ქონებაა.
გავლენა	ვერ მივიღეთ რწმუნება ანგარიშგებაში აღრიცხული 850,121 ლარის ღირებულების სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების სისწორეზე, შეფასებასა და მიკუთვნებაზე.
რეკომენდაცია	სამსახურმა შექმნას შესაბამისი მექანიზმები დანაკლისების ამოღების თვალსაზრისით, განიხილოს ბალანსზე რიცხული ხანდაზმული, არარეალური დანაკლისების აქტივებად აღიარების მიზანშეწონილობის საკითხი და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ფინანსურ ანგარიშგებაში მათი სწორად აღრიცხვის მიზნით.
კომპონენტ(ებ)ი რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

¹ სამსახური შეიქმნა 2015 წლის 1 აგვისტოს.

**ღირებულების გარეშე
აღრიცხული აქტივები,
ხარჯები და შემოსავლები**

ფაქტობრივი გარემოება

სამსახურის კუთვნილი აქტივების ნაწილი, მაგალითად, რამდენიმე შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთი, იარაღი, საბრძოლო მასალები და ა.შ., მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში მათი ღირებულება არ აისახება, შესაბამისად ხარჯებშიც აღნიშნული ქონება ღირებულების გარეშე ჩამოიწერება.

მიზეზი

საჯარო სტრუქტურებს ხშირად ღირებულების გარეშე ერიცხებათ აქტივები, რომელთაც ასევე რაოდენობრივად გადასცემენ სხვა საჯარო ორგანიზაციებს.

გავლენა

ანგარიშგებაში სხვადასხვა სახის აქტივები, შემოსავლები და ხარჯები წარმოდგენილია შემცირებულად, რასაც არსებითი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაქტობრივი გარემოება

სააგენტოს მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად, არც ბალანსზეა აღიწერილი საკუთარი ძალებით შექმნილი ხელფასების დარიცხვის სპეციალური პროგრამა. ამასთანავე სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 16 ერთეული სხვადასხვა სახის არამატერიალური აქტივი (პროგრამები, საიტები და ა.შ.), თითოეულის ღირებულებად დაფიქსირებულია 10 (ათი) ლარი, რაც არა აქტივების რეალური ღირებულება, არამედ ლიცენზირების საფასურია. ცვეთის დარიცხვა წარმოებს ზემოხსენებულ 10 (ათი) ლარზე.

მიზეზი

არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების დადგენის სირთულე და პროცესის ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტების გარეშე წარმართვა.

გავლენა

ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივები და კაპიტალის მოხმარების ხარჯი წარმოდგენილია შემცირებულად, რასაც არსებითი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

რეკომენდაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების, შემოსავლებისა და ხარჯების სისრულისა და სისწორის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა უზრუნველყოს ბალანსზე რაოდენობრივად ასახული ქონების (როგორც სპეციფიკური აქტივების, ისე არამატერიალური აქტივების) შეფასება.

**კომპონენტ(ებ)ი რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

განმარტებითი შენიშვნები

ფაქტობრივი გარემოება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის მითითებული მომხმარებლისთვის არსებითად მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია. მაგალითად, განმარტებით შენიშვნებში არ არის ასახული, რომ:

- ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების (1,404,249 ლარი) და კრედიტორული დავალიანების (1,125,891 ლარი) ნაწილის დაფარვა მოხდა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე;²
- ბრალეული პირის ან სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ჩანაცვლებული სამსახურის დაზიანებული ავტომანქანის ღირებულება ჩამოწერილია „მორალური ცვეთა და შემთხვევითი დაზიანებით გამოწვეული დანაკარგების“ ანგარიშზე.³

მიზეზი

ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებითი შენიშვნების ინფორმაციულობა უზრუნველყოფილი არ არის.

გავლენა

განმარტებით შენიშვნებში აუცილებელი დამატებითი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ხელს უშლის მომხმარებელს, შეაფასოს ორგანიზაციის მდგომარეობა და საქმიანობის შედეგები, ასევე აქტივების მართვის ხარისხის და რესურსების გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

რეკომენდაცია

სამსახურმა უზრუნველყოს შემდგომი მოვლენების და სხვა არსებითი დამატებითი ინფორმაციის ასახვა განმარტებით შენიშვნებში, ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის მიზნით.

კომპონენტ(ებ)ი რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

² აღრიცხვის ინსტრუქციის მუხლო 11, „ა“ პუნქტი; მუხლი 4, პუნქტი 25.

³ სააღრიცხვო ინსტრუქციის 41-ე მუხლის 48-ე პუნქტის შესაბამისად, „ფინანსურ ანგარიშგებას განმარტებით შენიშვნებში უნდა დაერთოს დამატებითი ინფორმაცია ფიზიკური ცვეთის, შემთხვევითი დაზიანების ან მორალური ცვეთის შედეგად აქტივების ღირებულების შემცირებაზე, ძირითადი კაპიტალის მოხმარების სახით“.

2. შიდა კონტროლის სისტემა

ფაქტობრივი გარემოება	ზედმეტად გადახდილი თანხები
	სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში „მომუშავეთა მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე რიცხული დავალიანება პერმანენტულად იზრდება და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 40,592 ათას ლარს მიაღწია, რაც თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების სახით ზედმეტად გაცემული თანხაა. აღნიშნული პრობლემა დამახასიათებელია ძალოვანი სტრუქტურებისთვის.
მიზეზი	თანამშრომლების გათავისუფლება გასული თარიღით, ეკონომიკური დეპარტამენტისთვის შესაბამისი ბრძანების დაგვიანებით გაგზავნა ან თანამშრომლების ხელფასის დარიცხვის თარიღის შემდეგ გათავისუფლება.
გავლენა	გათავისუფლებულ თანამშრომლებზე გაცემულია კუთვნილზე მეტი ხელფასი, რომელთა ნაწილის ბიუჯეტში დაბრუნების ალბათობა დროთა განმავლობაში მცირდება.
რეკომენდაცია	თანამშრომელთა გათავისუფლების საკითხის ინიცირებისთანავე, სამსახურმა უზრუნველყოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ინფორმირება, რათა გამოირიცხოს საბიუჯეტო სახსრების კუთვნილზე მეტი ოდენობით გაცემა.
კომპონენტ(ებ)ი რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

კონტროლის სისუსტეები: შრომის ანაზღაურება

ფაქტობრივი გარემოება	შრომის ანაზღაურების დარიცხვის პროცესში არსებობს მექანიკური შეცდომის ან თაღლითობის რისკი, რომელსაც ვერ ფარავს შიდა კონტროლის არსებული მექანიზმები.
მიზეზი	სამსახურში შრომის ანაზღაურების პროგრამაში პირველადი მონაცემები მექანიკურად (ხელით) შეაქვს საბუღალტრო სამსახურის თანამშრომელს, ისე რომ ამ პროცესის დამოწმება სხვა უფლებამოსილი პირის მიერ ოფიციალურად არ ხორციელდება. არ არსებობს სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ოფიციალური ფორმა, ⁴ არ არის შექმნილი შიდა კონტროლის დამატებითი მექანიზმები. სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები არც ერთ ეტაპზე არ მონაწილეობენ თავიანთი თანამშრომლებისათვის შრომის ანაზღაურების დარიცხვის პროცესში.
გავლენა	აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლოა, რომ გამოიწვიოს გათავისუფლებული თანამშრომლისთვის ან გარეშე პირისთვის ხელფასის დარიცხვა.

⁴ სააღრიცხვო ინსტრუქციის, მე-80 მუხლის მე-18 პუნქტის შესაბამისად „ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს: ორგანიზაციის ბრძანებები მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების შესაბამისად, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმით (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) და შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

რეკომენდაცია

სამსახურმა შეიმუშაოს და დანერგოს შრომის ანაზღაურების დარიცხვის პროცესის კონტროლის დამატებითი პროცედურები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების მაქსიმალურად დაცულობა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეული ხარჯვისაგან.

კონტროლის სისუსტეები: კვების ხარჯები

ფაქტობრივი გარემოება

სამსახურის გარკვეული კატეგორიის თანამშრომლების საყაზარმე კვებით უზრუნველყოფა ხორციელდება სპეციალურ კვების ობიექტებზე, რომლებსაც საკვები პროდუქტებით ამარაგებს შსს თავისი საწყობებიდან ან უშუალოდ მიმწოდებელი (კონტრაქტორი) კომპანიის მეშვეობით, ისე რომ უწყებებს შორის შედარების აქტები არ ფორმდება. აღნიშნული წარმოადგენს კონტროლის სისუსტეს და შეიცავს სხვადასხვა რისკებს.

მიზეზი

არ არის დანერგილი ორმაგი კონტროლი. არ ხდება შედარების აქტების გაფორმება.

გავლენა

საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის და შეცდომის რისკები.

რეკომენდაცია

კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სამსახურმა პერიოდულად უზრუნველყოს შსს-თან საკვები პროდუქტების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შესაბამისი შედარების აქტების გაფორმება.

კონტროლის სისუსტეები: აქტივების მართვის ნაკლოვანება

ფაქტობრივი გარემოება

სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული ქონების 2017-2019 წლების ინვენტარიზაციებით დაფიქსირდა ისეთი ქონების დანაკლისები, რომლებიც რეალურად არსებობს და სააგენტო მათ იყენებს. ამასთანავე, დანაკლისების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიქსირდება სამსახურიდან გათავისუფლებულ თანამშრომლებზე. მაგალითად, **2019 წელს** ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად რამდენიმე მატერიალურად პასუხისმგებელ პირს გამოუვლინდა 329 დასახელების 416 ერთეული ქონების დანაკლისი, ჯამური საბალანსო ღირებულებით – 366,004 ლარი. აღნიშნული თანხიდან, 360,000 ლარის დანაკლისი ირიცხება 6 ყოფილ თანამშრომელზე.

სულ, 2017-2019 წლებში სააგენტოში ჩატარებული ინვენტარიზაციების შედეგად გამოვლენილი იყო დანაკლისი, ჯამური ღირებულებით – 1,013,495 ლარი, საიდანაც აუდიტის მიმდინარეობისას, ჯამში მოძიებულია 621,012 ლარის დანაკლისად აღიარებული აქტივები, რომლებიც ჩაბარდა შესაბამის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს.

მიზეზი

სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული სპეციფიკური აპარატურისა და არამატერიალური აქტივების ინვენტარიზაცია რთული პროცესია და აღნიშნული შესაბამისი IT სპეციალისტის ჩართულობით უნდა მიმდინარეობდეს, რაც არ ხორციელდებოდა.

ზოგიერთ შემთხვევაში თანამშრომლები ისე თავისუფლდებიან სამსახურიდან, რომ მათზე რიცხული აქტივების ინვენტარიზაცია და მოქმედ თანამშრომელზე დოკუმენტურად გადაბარება არ ხდებოდა.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში დანაკლისად აისახება რეალურად არსებული ქონება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის უტყუარობაზე. ამასთანავე, ინვენტარიზაციისა და მასზე რიცხული მატერიალური ფასეულობების გადაბარების გარეშე თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება, ზრდის ქონების დაკარგვის/განადგურების რისკებს.

რეკომენდაცია

- სამსახურმა შექმნას ქმედითი მექანიზმები ბალანსზე რიცხული დანაკლისების მიზეზების დადგენის, პასუხისმგებელი პირების გამოვლენის და მათზე სამართლებრივი რეაგირების თვალსაზრისით.
- სააგენტომ უზრუნველყოს საინვენტარიზაციო კომისიისა და სამუშაო ჯგუფების სწორად დაკომპლექტება, მათში შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა, რათა ინვენტარიზაციები ხარისხიანად ჩატარდეს.
- მატერიალურად პასუხისმგებელი თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლებისას სააგენტომ უზრუნველყოს მათზე რიცხული ქონების ინვენტარიზაცია და შესაბამის პასუხისმგებელ პირზე გადაბარება, რათა გამოირიცხოს სახელმწიფო ქონების დაკარგვის/განადგურების რისკები.

კომპონენტ(ებ)ი რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა

ფაქტობრივი გარემოება

სამსახურში არ არის შემუშავებული და დანერგული სააღრიცხვო ინსტრუქციის მე-4 თავით გათვალისწინებული სააღრიცხვო პოლიტიკა.

მიზეზი

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა რთული პროცესია და დიდ რესურსს მოითხოვს, რის გამოც სამსახურში დღემდე ვერ მოხერხდა აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

გავლენა

სააღრიცხვო პოლიტიკის არქონით არის გამოწვეული სხვადასხვა დასახელების აქტივზე ცვეთის დარიცხვის, აქტივების რაოდენობრივად აღრიცხვის და მათი ხარჯებში ასევე მხოლოდ რაოდენობრივად ჩამოწერის ნაკლოვანებები. აღნიშნული გავლენას ახდენს სამსახურის აქტივების, შემოსავლებისა და ხარჯების არარეალურ ღირებულებაზე.

რეკომენდაცია

სამსახურმა შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად იქნება მორგებული მის სპეციფიკაზე, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი/არასათანადო ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული რისკები.

კომპონენტ(ებ)ი რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

3. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები)

ფაქტობრივი გარემოებები

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი ფინანსური აქტივების ანგარიშზე ირიცხება 63,734 ლარის ღირებულების აქტივები, რომლებზეც 2019 წელს მიმდინარეობდა სასამართლო დავები,⁵ საადრიცხო ინსტრუქციის შესაბამისად,⁶ ისინი არ აკმაყოფილებდნენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ანგარიშგებაში აქტივებად არ არის აღრიცხული 13,888 ლარი, რომელიც სასამართლომ ფიზიკურ პირებს დააკისრა გადასახდელად, სამსახურის სარჩელის საფუძველზე.

მიზეზი

გარკვეულ შემთხვევაში გვიანდება ეკონომიკური დეპარტამენტისთვის ინფორმაციის მიწოდება ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო დავების შესახებ, რაც სამსახურის პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განმარტებით, ზოგჯერ დაკავშირებულია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის პირობებთან და თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიზეზებით არის განპირობებული.

გავლენა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოკლევადიანი ფინანსური აქტივების ჯამური ღირებულება გაზრდილია 63,734 ლარით, ხოლო მოთხოვნები შემცირებულია 13,888 ლარით.

ფაქტობრივი გარემოებები

ეკონომიკური დეპარტამენტის 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის მიერ 2018 წელს ჩამოწერილი 322,084 ლარის ღირებულების მარაგები და 6,695 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.

სააგენტოს 2018 წლის ინვენტარიზაციის შედეგები შესაბამის ანგარიშგებაში არ ასახულა და აღირიცხა 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

მიზეზი

სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან შესაბამის დეპარტამენტებში დაგვიანებით გაიგზავნა ანგარიშგების შესადგენად საჭირო პირველადი დოკუმენტაცია.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის 328,779 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი, ხოლო 2019 წლის „საქონლისა და მომსახურების“ და „არასაოპერაციო“ ხარჯები ჯამურად გაზრდილია 480,779 ლარით.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამსახურმა უზრუნველყოს სტრუქტურული ქვედანაყოფების კოორდინირებული თანამშრომლობა, ერთმანეთისთვის

⁵ ჯამში - 63,734 ლარი (აქედან: შპს NiArt Vision - 41,451 ლარი; შპს „მეგა შოპ“ - 25,177 ლარი; შპს „ნოვატორი“ - 1,745 და შპს „მასტერ სპორტი“ - 1,107 ლარი).
⁶ საადრიცხო ინსტრუქციის 215-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

აუცილებელი დოკუმენტაციის დროულად და სრულყოფილი სახით მიწოდების თვალსაზრისით.

**კომპონენტ(ებ)ი რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

ფაქტობრივი გარემოება

სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 13 ერთეული არამატერიალური აქტივი,⁷ რომელთა ამორტიზაციის ნორმა განსაზღვრულია არასწორად.

მიზეზი

სააღრიცხვო ინსტრუქციის არასწორი ინტერპრეტაცია.

გავლენა

სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში კაპიტალის მოხმარების ხარჯი გაზრდილია 150,544 ლარით, ხოლო 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივების ღირებულება შემცირებულია 451,631 ლარით.

რეკომენდაცია

სააგენტომ არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია განახორციელოს მომსახურების ვადის შესაბამისად და დააკორექტიროს იმ აქტივების საბალანსო ღირებულებები, რომლებსაც არასწორად ერიცხებოდათ ამორტიზაცია.

**კომპონენტ(ებ)ი რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სსიპ – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.

⁷ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, ადამიანური რესურსების მართვის სისტემა და ა.შ.

საკონტაქტო ინფორმაცია

**გაცემული
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
პროცესზე
პასუხისმგებელი პირი**

თამუნა ბერუაშვილი - tberuashvili@sao.ge

**სახელმწიფო აუდიტის
სამსახურის
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის სისტემა**

<https://aris.sao.ge/>

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>

<https://www.budgetmonitor.ge/ka>

<http://www.blog.sao.ge/>

<http://www.sai.ge/main/>

<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>

<https://www.youtube.com/user/saogeorgia>

<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE